

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 “ 2014 წელი

ეგზ. № 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში № 52/00

2014 წელი

სარჩევი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	4
აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ინფორმაცია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შესახებ	6
აუდიტის მიდგომა	8
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	9
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	9
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	10
მოთხოვნები	10
შენობა-ნაგებობები	11
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	12
ორგანიზაციის ხარჯები	12
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	13
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	14
ორგანიზაციის ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ	18
საცნობარო მუხლი	18
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	19
აუდიტის დასკვნა	19
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	21
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	21
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	21
მოთხოვნები	22
შენობა-ნაგებობები	22
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	23
ორგანიზაციის ხარჯები	24
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	25

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	26
საცნობარო მუხლი	26
აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	27
აუდიტის დასკვნა.....	28
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	29
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	42
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	54
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	54

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 14526.7 ათასი ლარი, რომლის 98%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 2%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები 4012,1 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები 8908,5 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები 1367,5 ათასი ლარი;

2012 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად: გათანაბრებითი ტრანსფერი 4181.1 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 4530.2 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 197.2 ათასი ლარი.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელებმა შეადგინა 16284.9 ათასი ლარი. გადასახდელების 59%-ს შეადგენს ხარჯები, 40%-ს არაფინანსური აქტივების ზრდა, ხოლო ვალდებულებების კლება 1%-ს.

2013 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 12100.9 ათასი ლარი, რომლის 99.6%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 0.4%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- ✓ გადასახადები 2091,8 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები 8570,3 ათასი ლარი;
- ✓ სხვა შემოსავლები 1391,8 ათასი ლარი;

2013 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად, გათანაბრებითი ტრანსფერი 3423.3 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 4907.0 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 240.0 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 11385.3 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 66%-ს შეადგენს ხარჯები, 33%-ს არაფინანსური აქტივების ზრდა, ხოლო ვალდებულებების კლება 1%-ს.

2012-2013 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროექტები: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები; წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები; გარე-განათების სისტემის მომსახურეობა და ექსპლოატაცია.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლების საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმებით ვერ ხერხდება არსებითი უზუსტობების გამოვლენა. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც მაღალი.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზირებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) არ არის დაფიქსირებული საბანკო ანგარიშზე (მიმდინარე) არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტებისა და საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 3112.8 ათასი ლარი, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1350.9 ათასი ლარი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლი არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხებით.

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა

გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსში, „ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა“ მუხლში საწყისი ნაშთის სახით დაფიქსირებულია - 111.2 ათასი ლარი, ხოლო საბოლოო ნაშთის სახით - 42.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების ღირებულებას.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები თავისი დანიშნულებით არ წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, შესაბამისად მათი აღრიცხვა უნდა განხორციელდეს როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“), არასწორად არის დაფიქსირებული „ფასიანი ქაღალდებისა“ და „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ღირებულება.

მოთხოვნები

გარემოება. 2012 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაფიქსირებული სხვადასხვა იურიდიულ პირებზე რიცხული „მოთხოვნების“ (დებიტორული დავალიანება) საწყისი და საბოლოო ნაშთები, კერძოდ, 2012 წლის საწყისი ნაშთი - 3.6 ათასი ლარი და საბოლოო ნაშთი - 1.6 ათასი ლარი.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“), არასწორად არის დაფიქსირებული დებიტორული დავალიანების ნაშთები.

შენობა-ნაგებობები

გარემოება. 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი მოიცავს საცხოვრებელ შენობებს, საერთო ღირებულებით - 3180.8 ათასი ლარი, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, კერძო საკუთრების (პრივატიზებული) საცხოვრებელ სახლებს. აღსანიშნავია, რომ კერძო პირების მფლობელობაში არსებული ქონება (საცხოვრებელი სახლები) არ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას და შესაბამისად მათი აღრიცხვა არ უნდა ხდებოდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსში. გარდა ამისა, საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს, რომელიც არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ერიცხება ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია არასწორია, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდეს პრივატიზებული ქონების მოხსნა ბალანსიდან.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი არასაწორადაა გაზრდილი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების თანხით, შედეგად არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი და შესაბამისი დანართები (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“ შენობა-ნაგებობების მუხლი, ფორმა №2 „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი, ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი, ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლი).

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბალანსში არასწორად არის წარმოდგენილი „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ (კრედიტორული დავალიანება) თანხა. კერძოდ, ბალანსში წარმოდგენილია საწყისი ნაშთი 489.4 ათასი ლარის, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საწყისი ნაშთად ერიცხებოდა შეადგენს - 1226.6 ათას ლარს. გრეთვე ბალანსში საბოლოო ნაშთის სახით წარმოდგენილია - 1254.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად შეადგენს - 1256.1 ათას ლარს. აღნიშნული წარმოშობილია სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის, სატელეფონო მომსახურების, სატრანსპორტო მომსახურების და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების მიწოდებით წარმოქმნილი ვალდებულებებისგან.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი 737.2 ათასი ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი 1.5 ათასი ლარით.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1. 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფაქტობრივი ხარჯები შეადგენს 5521.8 ათას ლარს. დაფიქსირებულ ხარჯებში არ არის გათვალისწინებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთა) ხარჯი 463.7 ათასი ლარი და სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯები 4127.3 ათასი ლარი. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლიური ფაქტობრივი ხარჯი გაანგარიშებულია არასწორად.

გავლენა

აღნიშნულის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) წლიური ფაქტობრივი ხარჯები შემცირებულია 4591.0 ათასი ლარით.

გარემოება 2. საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ – 209.5 ათასი ლარი, მოიცავს 2012 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, საწვავის შესაძენად გაცემულ 41.0 ათას ლარს. გაწეული ხარჯი გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ ჩამოწერილია შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. შედეგად არ არის დასაბუთებული გაცემული თანხის მიზნობრიობის შესაბამისობა ფაქტობრივად გაწეულ ხარჯთან მიმართებაში.

გავლენა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ მუხლი შესაბამისი დასაბუთების გარეშე გაზრდილია 41.0 ათასი ლარით.

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

გარემოება. 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა N3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯი შემცირებულია 910.7 ათასი ლარით, სუბსიდიის ხარჯი შემცირებულია 3088.7 ათასი ლარით, გრანტები შემცირებულია 1494.0 ათასი ლარით, სხვა ხარჯები გაზრდილია 1840.1 ათასი ლარით, ცვეთის ხარჯი გაზრდილია 12.9 ათასი ლარით, ბიუჯეტიდან მიღებული

დაფინანსება გაზრდილია 4086.9 ათასი ლარით, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების ღირებულება გაზრდილია 308.3 ათასი ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული შემოსავლები 5618.2 ათასი ლარი არ არის დაფიქსირებული. შედეგად წმინდა ღირებულების სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების საბოლოო ნაშთები (ფორმა№3) გაანგარიშებულია არასწორად და არ ემთხვევა ბალანსის (ფორმა№1) წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთს.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების (დანართი ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) წარმოდგენილია არასწორად.

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

გარემოება 1. ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიშის გასავლებში, გაყიდულ აქტივებად არის წარმოდგენილი „სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი“, ღირებულებით - 104.1 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული აქტივები, ცვეთის დარიცხვის შედეგად ღირებულების შემცირების გამო, გადაყვანილია გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებში. „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ არაფინანსური აქტივების დანაყოფიდან გასვლა, გაყიდვის ნაცვლად უნდა აღრიცხულიყო როგორც „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ გასული აქტივები.

გავლენა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიშში „გაყიდული“ ძირითადი აქტივების ღირებულება არასწორად არის გაზრდილი 104.1 ათასი ლარით, შესაბამისად იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ გასული აქტივების ღირებულება.

გარემოება 2. 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა№5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) შესყიდვის ფორმით მიღებული „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების“ მუხლი წარმოდგენილია 6319.8 ათასი ლარით. შენობების ღირებულება მოიცავს არასწორი ბუღალტრული გატარების შედეგად აღრიცხულ 3526.0 ათას ლარს, რომელიც იმავე პერიოდში ჩამოწერილია „სხვა ხარჯების“ მუხლით. აღსანიშნავია, რომ არასწორი გატარება საჭიროებდა კორექტირებას საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებში, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში გადატანილი მონაცემები უნდა დაფიქსირებულიყო სწორი ღირებულებით.

გავლენა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა№5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) „შემენილი“ აქტივების ღირებულება არასწორად არის გაზრდილი 3526.0 ათასი ლარით, შესაბამისად იმავე თანხით გასავლებში, ასევე გაზრდილია „სხვა ხარჯების“ მუხლით გასული აქტივების ღირებულება.

გარემოება 3. ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიშში, საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის მუხლით, გასავლებში, წარმოდგენილია არასაცხოვრებელი შენობები, ღირებულებით - 13.7 ათასი ლარი. ფაქტობრივად განხორციელებული ოპერაცია შედგება 13.7 ათასი ლარის ღირებულების შენობების არასაცხოვრებელი შენობებიდან, საცხოვრებელი შენობების მუხლში გადატანით. აღსანიშნავია, რომ საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით¹ წარმოადგენს საკუთარი მოხმარებისათვის შექმნილ არაფინანსურ აქტივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული მონაცემები წარმოდგენილია არასწორად.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) „საკუთარი სახსრებით შექმნილი კაპიტალის“ მუხლში არასწორად არის დაფიქსირებული არასაცხოვრებელი შენობების ღირებულება 13.7 ათასი ლარი.

გარემოება 4. ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიშში, „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლში წარმოდგენილია ძირითადი აქტივები, ღირებულებით - 1.9 ათასი ლარი (არამატერიალური ძირითადი აქტივები (წიგნები) ღირებულებით - 1.8 ათასი ლარი და ტრანსფორმატორი ღირებულებით - 0.1 ათასი ლარი). უსასყიდლოდ გასული აქტივებიდან, წიგნები ჩუქების ფორმით გადაეცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან დაძმობილებულ ქალაქ ტაურაგეს (ლატვიის რესპუბლიკა), ხოლო ტრანსფორმატორი კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შპს „ენერგო პროჯორჯიას“. გამომდინარე აღნიშნულიდან, გასული აქტივები „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლის ნაცვლად უნდა დაფიქსირებულიყო „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლში არასწორად არის დაფიქსირებული ძირითადი აქტივების ღირებულება - 1.9 ათასი ლარი.

გარემოება 5. 2012 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულია 0.5 ათასი ლარის აქტივები (9 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთები და 300 ცალი რკინა-ბეტონის შპალი). პრივატიზებული აქტივების გასვლა მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაფიქსირებული, ვინაიდან ეს აქტივები მუნიციპალიტეტის მიერ, საკუთრებაში მიღების პერიოდში არ იყო აღრიცხული ბუღალტრულად. საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურიდან არ არის მოწოდებული დოკუმენტაცია, აქტივების როგორც საკუთრებაში მიღების ასევე მათი პრივატიზების (გასვლის) შესახებ.

გავლენა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობის ნაწილობრივი აღრიცხვის გამო არასწორად არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის ფორმა N1 „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი და ფორმა N5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი) მონაცემები.

გარემოება 6. 2012 წელს „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის საწყისი ნაშთი შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით შეადგენს 1159.4 ათას ლარს, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „მანქანა დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის საწყისი ნაშთი არასწორი თანხით 215.1 ათასი ლარით არის წარმოდგენილი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ საწყისი ნაშთი

215.1 ათასი ლარი წარმოდგენილია არასწორად, კერძოდ, შემცირებულია - 944.3 ათასი ლარით.

ორგანიზაციის ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

გარემოება. ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №4-1 „ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ შევსებულია და მომხმარებლისათვის წარდგენილია გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ, ფულადი გრანტების ანგარიშში აისახება ინფორმაცია მიღებული გრანტების და მისი ხარჯვის შესახებ, ხოლო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ ანგარიშში ასახულია თანხა, რომელიც მუნიციპალიტეტმა 2012 წელს გრანტის სახით გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ანგარიშის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტის სახით ჩარიცხულია 1660.0 ათასი ლარი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების დანართ N4-1 ანგარიშში ასახულია 166.0 ათასი ლარი.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების (დანართი ფორმა №4-1 „ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ“) წარმოდგენილია არასწორად.

საცნობარო მუხლი

გარემოება. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო დოკუმენტების მონაცემებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზირებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით - 709.8 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით, სრულად გაცვეთილი (ამორტიზირებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) და არსებითი გაუმჯობესების

(გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მის ჩამოწერამდე, უნდა აღირიცხოს ბალანსის საცნობარო მუხლში.

გავლენა

სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების საცნობარო მუხლში არ აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ყოველწლიურად შეავსოს ორგანიზაციული ბალანსი თანდართული ფორმებით, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად. აუდიტის პროცესში გამოვლინდა, ორგანიზაციული ბალანსის დანართი ფორმების შევსების გარკვეული ხარვეზები, კერძოდ;

ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, მონაცემებში მუნიციპალიტეტის შტატით მომუშავეთა რიცხოვნების შესახებ, 188 თანამშრომლის ნაცვლად, დაფიქსირებულია 922.5 თანამშრომელი.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

1. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
3. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) არ არის დაფიქსირებული საბანკო ანგარიშზე (მიმდინარე) არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტებისა და საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 1350.9 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1955.2 ათასი ლარი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლი არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხებით.

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა

გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსში, ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე საწყისი ნაშთის სახით დაფიქსირებულია - 42.5 ათასი ლარი, ხოლო საბოლოო ნაშთის სახით - 66.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების ღირებულებას.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები თავისი დანიშნულებით არ წარმოადგენენ ფასიან ქაღალდებს, შესაბამისად მათი აღრიცხვა უნდა განხორციელდებოდეს როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“), არასწორად არის წარმოდგენილი „ფასიანი ქაღალდების, გარდა აქციებისა“ მუხლი.

მოთხოვნები

გარემოება. 2013 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად არ არის დაფიქსირებული სხვადასხვა იურიდიულ პირებზე დარიცხული „მოთხოვნების“ (დებიტორული დავალიანება) საწყისი და საბოლოო ნაშთები, კერძოდ, 2013 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შემცირებულია - 1.6 ათასი ლარით.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“), არასწორად არის დაფიქსირებული დებიტორული დავალიანების საწყისი და საბოლოო ნაშთები.

შენობა-ნაგებობები

გარემოება. 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი მოიცავს საცხოვრებელ შენობებს, საერთო ღირებულებით - 3140.8 ათასი ლარი, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, კერძო საკუთრების (პრივატიზებული) საცხოვრებელ სახლებს. აღსანიშნავია, რომ კერძო პირების მფლობელობაში არსებული ქონება (საცხოვრებელი სახლები) არ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას და შესაბამისად მათი აღრიცხვა არ უნდა ხდებოდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსში. გარდა ამისა, საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ერიცხება ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია არასწორია,

შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდეს პრივატიზებული ქონების მოხსნა ბალანსიდან.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი არასაწორად არის გაზრდილი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების თანხით, შედეგად არასაწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი და შესაბამისი დანართები (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“ შენობა-ნაგებობების მუხლი, ფორმა №2 „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი, ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი, ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლი).

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბალანსში არასაწორად არის წარმოდგენილი „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ (კრედიტორული დავალიანება) თანხა. კერძოდ, ბალანსში წარმოდგენილია საწყისი ნაშთი 1254.5 ათასი ლარი, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საწყისი ნაშთი შეადგენს - 1256.1 ათას ლარს. აგრეთვე ბალანსში საბოლოო ნაშთის სახით წარმოდგენილია - 1122.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად მუნიციპალიტეტს ვალდებულებები შეადგენს - 1124.4 ათას ლარს. აღნიშნული წარმოშობილია სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის, სატრანსპორტო, საფოსტო მომსახურების, საწვავის და სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების მიწოდებით წარმოქმნილი ვალდებულებებისგან.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“) „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შემცირებულია 1.6 ათასი ლარით.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფაქტობრივი ხარჯები შეადგენს 3998.8 ათას ლარს. დაფიქსირებულ ხარჯებში არ არის გათვალისწინებული ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ცვეთა) ხარჯი 500.3 ათასი ლარი და სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯები 3511.4 ათასი ლარი. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლიური ფაქტობრივი ხარჯი გაანგარიშებულია არასწორად.

გავლენა

აღნიშნულის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) წლიური ფაქტობრივი ხარჯები შემცირებულია 4011.7 ათასი ლარით.

გარემოება 2. საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაწეული „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ – 209.5 ათასი ლარი, მოიცავს 2013 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, საწვავის შესაძენად გაცემულ 92.5 ათას ლარს. გაწეული ხარჯი გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ ჩამოწერილია შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. შედეგად არ არის დასაბუთებული გაცემული თანხის მიზნობრიობის შესაბამისობა ფაქტობრივად გაწეულ ხარჯთან მიმართებაში.

გავლენა

2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ შესაბამისი დასაბუთების გარეშე გაზრდილია 92.5 ათასი ლარით.

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

გარემოება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, კერძოდ, საქონელი და მომსახურებით გაწეული ხარჯი შემცირებულია 329.3 ათასი ლარით, სუბსიდიის ხარჯი შემცირებულია 3460.3 ათასი ლარით, გადახდილი პროცენტები 98.1 ათასი ლარის ნაცვლად, წარმოდგენილია 0.0 ლარი, ცვეთის ხარჯი შემცირებულია 11.2 ათასი ლარით, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შემცირებულია 645.3 ათასი ლარით, სხვა ხარჯები გაზრდილია 1196.2 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი გაზრდილია 0.2 ათასი ლარით, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების ღირებულება გაზრდილია 724.4 ათასი ლარით, უსასყიდლოდ გაცემული არაფინანსური აქტივების ღირებულება გაზრდილია 112.1 ათასი ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლები 3483.6 ათასი ლარი არ არის დაფიქსირებული. შედეგად წმინდა ღირებულების (ფორმა№3) სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების საბოლოო ნაშთები გაანგარიშებულია არასწორად და არ ემთხვევა ბალანსის (ფორმა№1) წმინდა ღირებულების ნაშთებს.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების (დანართი ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) წარმოდგენილია არასწორად.

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

გარემოება. 2013 წელს შესყიდვით მიღებულია არასაცხოვრებელი შენობები, საერთო ღირებულებით - 493.5 ათასი ლარი. შენობების ღირებულება მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ სასტუმროს შენობის აფასების შედეგად მიღებულ სარგებელს, ღირებულებით - 477.5 ათასი ლარი.

აფასების შედეგად მიღებული სარგებელი მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშში“ შესყიდვით მიღებულის ნაცვლად, უნდა აღრიცხულიყო როგორც „სხვა შემოსავლებით“ მიღებული აქტივი.

გავლენა

2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №5 „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ ანგარიში) „შესყიდვით“ მიღებული აქტივების ღირებულება არასწორად არის გაზრდილი 477.5 ათასი ლარით.

საცნობარო მუხლი

გარემოება. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო დოკუმენტების მონაცემებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზირებული) არაფინანსური აქტივები, საწყისი ღირებულებით - 898.1 ათასი ლარი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა მიხედვით, სრულად გაცვეთილი (ამორტიზირებული) ძირითადი აქტივები, საწყისი (ისტორიული) და არსებითი გაუმჯობესების (გადაფასების) შედეგად განსაზღვრული ღირებულებების მითითებით, მის ჩამოწერამდე, უნდა აღირიცხოს ბალანსის საცნობარო მუხლში.

გავლენა

სრულად გაცვეთილი არაფინანსური აქტივების საცნობარო მუხლში არ აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და სწორ წარდგენაზე.

აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

გარემოება. 2014 წლის 17 თებერვალს შპს „აუდიტ-ეკონომიქსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებას.

2014 წლის 14 მარტს შპს „აუდიტ-ეკონომიქსის“ მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ აუდიტორულმა ფირმამ ჩაატარა დაწესებულების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყის 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით, აგრეთვე ფულადი სახსრების მოძრაობას, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ხოლო დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემები ასახულია უტყუარად და სამართლიანად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფისათვის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი შესაბამისი დანართებით), რაზეც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის წერილობით განმარტებაში აღნიშნულია, რომ ბალანსი მუნიციპალიტეტში სრულად არ იწარმოებოდა და მისი შედგენა მოხდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის შემდეგ. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია იმ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელზეც შპს „აუდიტ-ეკონომიქსმა“ გასცა დასკვნა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

1. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
3. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვ ის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	111200	42454
მოკლევადიანი სესხები	1320		
აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
გადახდილი დღგ	1356		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
სხვა საგადასახადო აქტივი	1358	27451	27451
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
მოთხოვნები ბარტერიით	1410		
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	989	405

გრძელვადიანი სესხები	1510
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530

II. არაფინანსური აქტივები

სტრატეგიული მარაგები	1610		
სხვა მატერიალური მარაგები	1620	169652	344540
შენობა-ნაგებობები	2110	10874618	16514125
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	1159398	1124480
სხვა ძირითადი აქტივები	2130	20693	18356
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	21826	1951
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	189186	576966
ფასეულობები	2300	461302	476334
არაწარმოებული აქტივები	2400		

ბალანსი		13036315	19127062
----------------	--	-----------------	-----------------

ვალდებულებები და კაპიტალი

I. ვალდებულებები

	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათ ვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	489428	1254471
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
ვალდებულებები ბარტერით	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
გადასახდელი დღგ	3242		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		3700
სხვა გადასახდელები	3244		
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
გადასახდელი სტიპენდიები	3258		
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და
კრედიტორული დავალიანებები 3300

II. კაპიტალი

წმინდა ღირებულება	5100	12546887	17868891
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
გაუნაწილებელი მოგება	5220		
დაუფარავი ზარალი*	5230		
ბალანსი		13036315	19127062

III. საცნობარო მუხლები

საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04
პირობითი მოთხოვნები	05
პირობითი ვალდებულებები	06
